



სსიპ „ნამლის სააგენტო“

N 227  
თბილისი

თარიღი 02 / სექტემბერი / 2019 წ.

შედგენის ადგილი: ქ.

ელექტრონული საჯარიმო ქვითარი  
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 44<sup>12</sup> მუხლით  
გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის

1. სამართალდამრღვევი:

- ა) სამართლებრივი ფორმა და დასახელება: შპს „ივერთა“
- ბ) საიდენტიფიკაციო ნომერი/კოდი: 204569092
- გ) რეგისტრაციის მისამართი (იურიდიული მისამართი): ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, სანაპიროს ქ., N10
- დ) საქმიანობაზე ნებაართვის ნომერი: 000045

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსი: პირველ ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის სფეროში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის მიუწოდებლობა – აღნიშნული იურიდიული პირის მიერ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2006 წლის 25 მაისის N140/ნ ბრძანების პირველი პუნქტით და ამავე ბრძანების დანართი N4-ით დადგენილი წესით არ იქნა წარმოდგენილი 2019 წლის ივნისის თვის ინფორმაცია პირველ ჯგუფს მიკუთვნიებული ფარმაცევტული პროდუქტის ლეგალური ბრუნვის შესახებ.

3. ჯარიმის ოდენობა: 500 (ხუთასი) ლარი.

4. აღნიშნული საჯარიმო ქვითარი (სამართალდარღვევის ოქმი) შეიძლება გასაჩივრდეს მხარისათვის მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მდებარე მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი, №6).

5. საჯარიმო ქვითრის გადახდის ინსტრუქცია:

დამრღვევმა ჯარიმა უნდა გადაიხადოს საჯარიმო ქვითრის ჩაბარებიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში დაჯარიმების შესახებ გადაწყვეტილება იძულებით აღსრულდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში.

საჯარიმო თანხის გადახდა უნდა განხორციელდეს ნებისმიერი საბანკო დაწესებულების მეშვეობით შემდეგი სავალდებულო რეკვიზიტების გათვალისწინებით:

- ა) გადამხდელის ვინაობა;
- ბ) მიზნობრიობაში უნდა მიეთითოს საჯარიმო ქვითრის ნომერი;
- გ) საბანკო კოდი: TRESGE22;
- დ) სახაზინო კოდი: 302003243;

6. თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი (ქვითარი) სამართალდამრღვევის მიერ წარმოდგენილ უნდა იქნეს სსიპ „ნამლის სააგენტოში“ შემდეგ მისამართზე: 0119, ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144.

საჯარიმო ქვითარი შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემულ პირს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, უფლება აქვს გაეცნოს საქმის შესაძლებელ მისცეს ანსნა-განმარტებანი, ნარადგინოს მტკიცებულებანი, განაცხადოს მუამდგომლობანი; საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით; გაძოვიდეს შმოზლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით; გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება;

ნარკოტიკების ლეგალური ბრუნვის  
სამმართველოს სპეციალისტი

ხელმოწერილია/  
შტამპდასმულია  
ელექტრონულად

ნინო ქსოვრელი